შეთანხმების აქტი

შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობის ცვლილებასთან დაკავშირებით

ქ. ქუთაისი 12.04.2022

1. ზოგადი დებულებანი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი" (შემდგომში „უნივერსიტეტი" ან „დამსაქმებელი") წარმოდგენილი მისი რექტორის **გოჩა თუთბერიძის** სახით და მეორე მხრივ დასაქმებული **მაია ბლიაძე** პირადი № **01009001605** (შემდგომში „დასაქმებული) შემდგომში „ხელშეკრულების მხარეები" ვდებთ შეთანხმების აქტს „ხელშეკრულების მხარეებს" შორის არსებული შრომითი ურთიერთობის პირობების მოდიფიცირების მიზნით შემდეგზე:

2. შეთანხმების საგანი:

ხელშეკრულების მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლში (ხელშეკრულების საგანი) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ეს ხელშეკრულება აწესრიგებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობას დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტში **დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის და მასწავლებელთა მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის** თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

3. ზემოთ აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდეს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;
4. შეთანხმების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ და დაერთვის მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე აქტზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

ქუთაისის უნივერსიტეტის
გოჩა თუთბერიძე

_____

დასაქმებული

_____